


ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
II ტური
2020-2021 წწ

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.


- რომელია ცაგერის რაიონის სოფლების: ოყურემის, ლასურიაშისა და ზუზის ვენახებში მოყვანილი ქართული წითელყურძნიანი ჯიშისგან დამზადებული ნახევრადტკბილი წითელი სამარკო ღვინო (მცირე რაოდენობით იწარმოება და ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია)?
 - ქისი;
 - ტვიში;
 - უსახელოური;
 - ალადასტური.
- მოცემული ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრეთ, ჩამოთვლილთაგან რომელ რეგიონში უკავია ყველაზე მაღალი წილი ტყის ფართობს?



- სამცხე-ჯავახეთში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში;
- კახეთში;
- იმერეთში.

საქართველოს რეგიონები	ფართობი (კმ ²)
შიდა ქართლი	3428.3
ქვემო ქართლი	6436.2
სამცხე-ჯავახეთი	6412.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7468.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4600
მცხეთა-მთიანეთი	5606
კახეთი	11375
იმერეთი	6414.7
გურია	2033.2

3. მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკაზე რამდენ მეტრშია გავლებული ჰორიზონტალები?




- ა) 5 მ.
- ბ) 10 მ.
- გ) 20 მ.
- დ) 50 მ.

4. როგორი წარმოშობისაა ილუსტრაციაზე ნაჩვენები რელიეფის ფორმა?



- ა) გლაციალური;
- ბ) კარსტული;
- გ) აბრაზიული;
- დ) ვულკანური.

5. რა ინფორმაციაა მოცემული ბრაზილიის რუკაზე?




- ა) ატმოსფერული ნალექების განაწილება;
- ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- გ) სეისმურად აქტიური ზონები;
- დ) მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

6. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, რა საკითხი არ რეგულირდება:

- ა) საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა;
- ბ) საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის საკითხი;
- გ) საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი;
- დ) საქართველოს მიერ ევროსაბჭოში ვეტოს გამოყენების უფლება.

7. რომელ რუკაზეა ნაჩვენები სახელმწიფოები, რომლებსაც სხვადასხვა დროს განუხორციელებია პილოტირებული კოსმოსური ხომალდების გაშვება?





➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 8-10

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

8. (6 ქ.) დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):







	ფოტო		სახელმწიფო (დროშა) სადაც მდებარეობს სათაო ოფისი
ა	 <p>ბოინგი</p>	1	

<p>ბ</p>		<p>2</p>	
<p>ბ</p>		<p>3</p>	
<p>ბ</p>		<p>4</p>	

ჰიუნდაი

ვოლვო

ეირზასი

<p>2</p>		<p>5</p>	
<p>3</p>		<p>6</p>	
		<p>7</p>	
		<p>8</p>	





ა	ბ	გ	დ	ე	ვ







9. (6 ქ.) დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):








	მინერალური წყარო		ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია
ა	საირმე	1	ხევი
ბ	ავადჰარა	2	რაჭა
გ	უჯარმა	3	ხევსურეთი
დ	უწერა	4	გურია
ე	ლებარდე	5	იმერეთი
ვ	ნაბელავი	6	სამეგრელო
		7	აფხაზეთი
		8	თორი
		9	კახეთი

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

10. (8 ქ.) დაადგინე შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხი არ მეორდება):

	ვალუტა		სახელმწიფო (კონტური)
ა	 <p>შეკელი</p>	1	
ბ	 <p>სამხ. კორეული ვონი</p>	2	

8	 <p>გირვანქა სტერლინგი</p>	3	
9	 <p>თურქული ლირა</p>	4	
9	 <p>უკრაინული გრივნა</p>	5	

3	 იენი	6	
8	 ინდური რუპია	7	
თ	 ტურკულუგი	8	
	9		


ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 11-12

ინსტრუქცია

გაანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

11. (5 ქ.) გაანალიზეთ მოცემული ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:



ნახ.1



ნახ.2

11.1. (1 ქ.) რომელი ლანდშაფტია ნაჩვენები ნახ. 2-ზე?


11.2. (2 ქ.) დაასახელეთ ილუსტრაციაზე გამოსახული რელიეფის ფორმის შესაბამისი ორი ტერმინი?

11.3. (1 ქ.) რა იწვევს ილუსტრაციებზე აღნიშნული რელიეფის ფორმის გადაადგილებას?

11.4. (1 ქ.) რა პრევენციული ღონისძიება შეიძლება გატარდეს, დასახლებული პუნქტისთვის ილუსტრაციაზე აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტიდან მომდინარე ზიანის შემცირების მიზნით.

12. (8 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ეს სამგზავრო ხომალდი ექსპულატაციაში შევიდა 1912 წელს და მსოფლიოში უდიდესი იყო. 1912 წლის 15 აპრილს ხომალდმა განიცადა კატასტროფა. ამ გემის ისტორია ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და ლეგენდარულია.



1912 წლის ფოტო



თანამედროვე ფოტო



მარშრუტის რუკა

12.1. (1 ქ.) რა ერქვა ამ ლეგენდარულ გემს?

12.2. (1 ქ.) ხომალდმა კატასტროფა განიცადა ჩრდილოეთ ატლანტიკაში. მოცემული რუკის გამოყენებით განსაზღვრეთ კატასტროფის ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები?

12.3. (1 ქ.) რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა ეს გემი?

12.4. (2 ქ.) რომელ პორტებს შორის ასრულებდა ეს გემი თავის პირველ რეისს?

12.5. (1 ქ.) რეისის განხორციელების დროს, რომელი სახელმწიფოს პორტში გააკეთა პირველი გაჩარება ამ ხომალდმა?

12.6. (2 ქ.) რა გახდა კატასტროფის გამომწვევი მიზეზი და რატომ იქონია გავლენა აღნიშნულ კატასტროფაზე რეისის აპრილის თვეში განხორციელებამ?